ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №713

27 იანვარი 2016 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცებისა და აუქციონის გზით სარგებლობის უფლებით (იჯარა) განკარგვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 31 დეკემბრის №2214 ბრძანებით განსაზღვრული ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონოდ მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 15 იანვრის №297-02 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა, დანართი N1-ის შესაბამისად.
2. მიეცეს თანხმობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დანართი №2-ში მითითებული ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის გზით განკარგვაზე.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ბოსტან–ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით მაღლაკელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი 1

(პრივატიზება)

N	საკადასტრო კოდი	მიწის ნაკვეთის ფართობი კვ/მ	მისამართი	შენიშვნა
1	02.03.07.005	1188	ქალაქი რუსთავი, გასასვლელი მესხიშვილის I მიმდებარედ	სზ-6
2	02.03.06.003	42	ქალაქი რუსთავი, მიკრო რაიონი XX, მიმდებარედ	სზ-5
3	02.02.04.322	576	ქალაქი რუსთავი, მიკრო რაიონი XII, სახლი N1-ის მიმდებარედ	სზ-6 საპრ.
4	02.05.06.698	73	ქალაქი რუსთავი, ქუჩა დონეცკ - მეტალურგები, N11-ის მიმდებარედ	სზ-3 სზ-6
5	02.02.04.323	6	ქალაქი რუსთავი, მიკრო რაიონი XII, სახლი N7-ის მიმდებარედ	სზ-6
6	02.03.07.006	66	ქალაქი რუსთავი, ქუჩა მესხიშვილის, გასასვლელი პირველი, მიმდებარედ	სზ-6
7	02.04.01.399	1418	ქალაქი რუსთავი, ქუჩა ფალიაშვილი, მიმდებარედ	სზ-3
8	02.03.06.005	100	ქალაქი რუსთავი, მიკრო რაიონი XX, სახლი N21-ის მიმდებარედ	სზ-6
9	02.01.05.855	12866	ქალაქი რუსთავი, მიკრო რაიონი XXI, მიმდებარე ტერიტორია	სზ-3 საპრ.
10	02.02.08.087	395	ქალაქი რუსთავი, ლეონიძის ქუჩასა და ბაზრობას შორის მიმდებარე ტერიტორია	სსზ-3
11	02.03.04.697	3369	ქალაქი რუსთავი, ქუჩა ლომოური, მიმდებარე ტერიტორია	სსზ-4

დანართი 2

N	საკადასტრო კოდი	მიწის ნაკვეთის ფართობი კვ/მ	მისამართი	შენიშვნა
1	02.04.03.601	49	ქალაქი რუსთავი, ქუჩა ვაჟა-ფშაველა, მიმდებარედ	სზ-3 ტზ-1
2	02.03.06.004	72	ქალაქი რუსთავი, მიკრო რაიონი XX, სახლი N21-ის მიმდებარედ	სზ-6